ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N65

2018 წლის 11 აპრილი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ." ქვეპუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 51,1 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 5.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ 20.33.01.336) 2 (ორი) წლის ვადით იჯარის ფორმით სამკერვალოს გახსნის მიზნით ფ/პ ნაზი მენაღარიშვილს;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 51,1 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 5.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის წლიური საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. ამ განკარგულების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 იანვრის N16 განკარგულება;

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დ.მჭედლიშვილი**